პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 129 (12945) | ხუთშაბათი, 4 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ განათლების სისტემას ჩვეულებრივად მილიონთა მარქსისტულ-ლენინურ უნივერსიტეტს უწოდებენ. და ეს გასაგებიც არის. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება თვითეული საბჭოთა ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნად გადაიქცა. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში პოლიტიკური განათლების სხვადასხვა რგოლში მეცადინეობს ქალაქისა და სოფლის ათასობით მცხოვრები — კომუნისტები, უპარტიო აქტივი.

ამ უკანასკნელ ხანს პარტიულ განათლებაში, ისევე როგორც მთელ იდეოლოგიურ მოღვაწეობაში, საყურადღებო ცვლილებები მოხდა. განმტკიცდა პოლიტიკური სწავლების კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრშია ის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, რომლებიც წამოაყენა სკკპ XXII ყრილობამ, პარტიის ახალმა პროგრამამ.

მაგრამ ცხოვრება ერთ წერტილზე როდი დგას. იგი ახალ და ახალ ამოცანებს აყენებს ჩვენი იდეოლოგიის, მახვილის კომუნისტური აღზრდის დარგში. ეს ამოცანები კი ნათლად და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებში.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შემოქმედებითად იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ახალმოძღვრული პოლიტიკური განათლების სრულყოფისათვის. ამალდა სწავლების იდეურ-თეორიული დონე, მნიშვნელოვნად განვითარდა პოლიტიკური თვითგანათლება.

სულ უფრო და უფრო მატულობს ცხოველი ინტერესი სკკპ ისტორიის, ჩვენი პარტიის პროგრამის, ეკონომიური თეორიის ღრმად შესწავლისადმი, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი ანალიზისადმი. უფრო აქტიური და შემტევი გახდა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, ფართო პოპულარობა მოიპოვა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ისეთმა ფორმებმა, როგორიც არის სახალხო უნივერსიტეტები, კომუნისტური შრომის სკოლები, ლექტორიუმები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მახვილის პოლიტიკურ სწავლებაში ცენტრალური ფიგურა პროპაგანდისტია. სწორედ მის უნარსა და მონდომებაზე, მის დაოსტატებაზე ბევრად არის დამოკიდებული თვითეულ წრესა თუ პოლიტსკოლაში, სემინარში სწავლების მაღალი დონე, ამიტომ პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევასა და აღზრდას.

ამ მხრივ ნამდვილ მეთოდურ შტაბს წარმოადგენს საქართველოს კპ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი. იგი მაღალნაყოფიერ დახმარებას უწევს პროპაგანდისტებს საჭირო კონსულტაციებით, თეორიული და მეთოდური კონფერენციებით, განაზოგადებს მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილებას. სახლთან მუშაობენ ბუდმივმოქმედი სემინარები, რომლებშიც კვალიფიკაციას იმაღლებენ წრეების პროპაგანდისტები, თეორიული სემინარების ხელმძღვანელები, აგრეთვე მათთვის დიფერენციერებულად ეწყობა მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები. წელს 100-მდე კაცმა დაამთავრა პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლთან შექმნილი ათეიზმის სკოლა.

ახლა ბევრ პარტიულ ორგანიზაციას პოლიტიკურ სწავლებაში მეტად თვალსაჩინო მიღწევები აქვს. პოლიტიკური განათლების ქსელში მრავალი ათასობით კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი რომ ებმება, ეს პარტიული ორგანიზაციების წინაშე აყენებს ამოცანას უფრო გონივრულად გამოიყენონ პარტიული პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების მთელი არსენალი, ამავე დროს გამონახონ ახალი ფორმები, ადამიანთა პოლიტიკურ სწავლებას მისცენ უფრო მეტი მიზანსწრაფულობა და ღრმა შინაარსი.

კარგი გამოცდილება აქვთ ამ მხრივ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ჭიათურის, მახარაძის, ზუგდიდის, გორისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებს.

თუ რა სასურველ შედეგს იძლევა სწავლების ბევრი ახალი ფორმა, ამაში ნათლად ვრწმუნდებით ზუგდიდის სამრეწველო-საწარმოო ზონის ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მაგალითზე. აქ შექმნილია ტექნიკური პროგრესის უნივერსიტეტი, რომელსაც კომბინატის მთავარი ინჟენერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. კუხალაშვილი ხელმძღვანელობს. უნივერსიტეტის მსმენელებმა გადაწყვიტეს, რომ წელს, პირველად კომბინატის არსებობის მთელი 25 წლის მანძილზე, უარი თქვან სახელმწიფო დოტაციაზე. ამ უნივერსიტეტის მსმენელმა დ. ქირიმაშვილი ერთ-ერთ მეცადინეობაზე წარადგინა რეფერატი, რომელიც შეიცავს თელ რიგ სიახლეებს მერქნის მასის ტექნოლოგიაში. მსმენელმა ა. ჯაბუამ კი პრაქტიკულად უკვე დანერგა ორთქლის თვითღირებულების შემცირების პროგრესული მეთოდი, რამაც უზრუნველყო ცელულოზის ქარხნის შეუფერხებელი მუშაობა.

პროპაგანდისტულ მოღვაწეობაში ფართოდ იკიდებს ფეხს ისეთი სასარგებლო მეთოდი, როგორიც არის მსმენელებისათვის პრაქტიკული დავალებების მიცემა. ამ მხრივ საინტერესოა გორის ბამბეულის კომბინატის № 1 საქსოვ ფაბრიკაში დაწყებითი ტიპის ეკონომიური სკოლის მუშაობა. სკოლის ხელმძღვანელი ი. სტეფნაძე თეორიულ მეცადინეობასთან ერთად თვეში ერთხელ მართავს პრაქტიკულ მეცადინეობას, ერთ-ერთი პრაქტიკული დავალება, რომელიც სკოლის მსმენელებს მიეცათ მიმდინარე წლის მარტის ბოლოს, ითვალისწინებდა მსმენელთა მიერ ფაბრიკაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხის შესწავლას. რამდენიმე კვირის შემდეგ მსმენელებმა მორიგ პრაქტიკულ მეცადინეობაზე წამოაყენეს საინტერესო წინადადებანი საქსოვ ფაბრიკაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ზოგიერთი ღონისძიება წარმოებაში უკვე განხორციელდა.

პრაქტიკულ დავალებათა მიცემის მეთოდს კარგად იმარჯვებენ აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო, ლითოფონისა და ელექტრომექანიკურ ქარხნებში. აგრეთვე ქალაქის ბევრ სამშენებლო საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ წრეებსა და სკოლებში.

პროპაგანდისტის მთელი მოღვაწეობა, მისი ყოველი საუბარი მსმენელებთან მიმართული უნდა იყოს არა მარტო აღზრდის ინტერესებისაკენ, არამედ ამასთანავე ამა თუ იმ კონკრეტული საქმისათვის ადამიანთა დარაზმვისაკენ.

პოლიტიკური განათლების მაღალ დონეზე დაყენებამ დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ ბორჯომის შუშის ქარხანა ერთ-ერთი მაღალი კულტურის მქონე საწარმოა მთელ სამრეწველო-საწარმოო ზონაში. მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა მახარაძის საწარმოო სამმართველოს ნაგომრის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შ. სარაშვილი.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ყვარლის საწარმოო სამმართველოს სოფელ შილდის კუთბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში დაწყებითი ტიპის ეკონომიურ სკოლას ხელმძღვანელობს აგრონომი, კოლმეურნეობის ბრიგადირი ვ. ტუხაშვილი. იგი მოვალეობის მოხდის მიზნით მართავს მეცადინეობას, არ იყენებს ცოცხალ საუბარს, ხშირად მხოლოდ წაიკითხავს ხოლმე მორიგ თემას, კოლმეურნეობის პრაქტიკულ ამოცანებთან მეცადინეობის დაკავშირებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მეურნეობაში კი თითქმის ყველა სამუშაო ჩამორჩება.

პროპაგანდისტის მოვალეობაა დიდი და სპასტოა. იგი ყველგან და ყველაფერში პარტიის იდეების აქტიური მატარებელია. მაგრამ აი როგორ იქცევა ზოგიერთი: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიღსაგლინავ საამქროში კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი გ. კუპრაძე ხშირად აცდენდა პროპაგანდისტთა სემინარს, წრის მეცადინეობაზეც მოუმზადებელი ცხადდებოდა. ამას წინათ მას სამსახურებრივ საქმეზე უთანხმოება მოუვიდა წრის მსმენელ გ. გოზალოვთან. მეორე დღეს მან განაცხადა, რომ თუ გოზალოვი შემდგომში დაესწრებოდა წრის მეცადინეობას, იგი მუშაობას აღარ გაგრძელებდა(?!).

სერიოზული ნაკლოვანებებია გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს ქოლობნისს სუფუნის, ონოდის კოლმეურნეობებს, საქსოფლტექნიკის გეგეჭკორის განყოფილების პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ პოლიტწრეებსა და სკოლებში. მსგავსი მდგომარეობაა სამტრედიის სამრეწველო-საწარმოო ზონის ბევრი საწარმოსა და დაწესებულების მუშაკთა პოლიტიკური განათლების საქმეში.

ეს ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ ყველა პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი გააკეთა სწორი და საჭირო დასკვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

ადამიანთა შეიარაღება მარქსისტულ-ლენინური თეორიითა და ეკონომიური ცოდნით თვითეული პარტიული კომიტეტის, თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ მაღაროს კოლექტივი თავდადებულად იბრძვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

მაღაროელებმა თორმეტი დღით ადრე შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთი თვის დავალება და ივნისის ანგარიშში რამდენიმე ეშელონი მარგანეცი გაუგზავნეს მეტალურგიულ ქარხნებს.

წინ მიდიან იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც მიხეილ და აკაკი კენჭოშვილები და შ. ფხალაძე ხელმძღვანელობენ.

ვ. სამხარაძე, აკ. სხირტლაძე.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲨᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ მეტალურგიული ქარხნის მომთუთიებელი საამქროს კოლექტივმა განახორციელა მილების სპეციალური დამუშავება და მოთუთიება დიამეტრის შეუცვლელად, რაც მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს მილების ექსპლოატაციის ვადას. ბაქოელ მენავთობეებს ამ დღეებში უკვე გავუგზავნეთ ათობით ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია. გასაგზავნად მზად გვაქვს კიდევ 90 ტონაზე მეტი მოთუთიებული მილები.

ვ. კოკიანაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მომთუთიებელი საამქროს უფროსი.

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ მეურნეობის ყველა უბანზე დღითიდღე ძლიერდება სოციალისტური შეჯიბრება შეიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის. პირველ სურათზე (მარცხნივ) თქვენ ხედავთ თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეფოლადეს ჯ. ლურსმანაშვილს, რომელიც 130-150 პროცენტით ასრულებს დავალებას. მეორე სურათზე კი — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ლაბორატორიის მოწინავე მუშაკებს ტექნიკოს-ლაბორანტ ლ. კირვალიძეს და ქიმიკოს ლ. სანაძეს. მესამე სურათზე გამოსახულია „საქსოფლტექნიკის“ ცხინვალის გაერთიანების მოწინავე მექანიზატორი გ. ცოტნიაშვილი, რომელიც ემზადება მოსავლის ასაღებად, — არგმონტებს კომბაინს.

ფოტო შ. ჩხეტიანის, ე. ლოლ ობერიძისა და კ. უბოჟენკოსი.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

3 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

დარბაზში შეიკრიბნენ მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, თეატრისა და კინოს მოღვაწეები, იდეოლოგიური მუშაკები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. გ. სტურუამ.**

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ისტორიული შეხვედრების შემდეგ განვლილ პერიოდში რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის საკითხები.

მოხსენებები გააკეთეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა **ს. ჭილაიამ,** რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ა. მაჭავარიანმა,** საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა **ზ. ლეონავამ,** რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის გამგეობის მდივანმა **რ. თაბაგუაშვილმა.**

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

კამათში გამოვიდნენ ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი, მწერალი **გ. აბაშიძე,** თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ო. თაქთაქიშვილი,** კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ვ. ლორთქიფანიძე,** ქართული ხელოვნების ისტორიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი **ვ. ბერიძე,** კინორეჟისორი **მ. კოკოჩაშვილი,** პოეტი **თ. ჭილაძე,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ვ. ანჯაფარიძე,** მხატვარი **ო. უუბანეიშვილი,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ა. ჩიმაკაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პოეტი **ი. აბაშიძე.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. გ. სტურუამ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. დ. გოცირიძემ,** საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **შ. ა. დოლიძემ.** (საქმესი).

ᲕᲘᲖᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ



3. ᲣᲚᲒᲠᲘᲮᲢᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ნოვოსიბირსკი, 3 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით ვალტერ ულბრიხტი მეუღლეთურთ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთან ა. პ. კირილენკოსთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანთან მ. პ. გიორგაძესთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ნოვოსიბირსკის სამეცნიერო ცენტრში.

განყოფილების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა მ. ა. ლავრენტიევმა სტუმრებს გააცნო მეცნიერთა ქალაქი, რომელიც გადაშლილია „ობის ზღვის“ — ნოვოსიბირსკის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავის ნაპირზე.

ნოვოსიბირსკი, 3 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის უზარმაზარი დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. აქ დღის ბოლოს მოვიდა საწარმოების, მშენებლობების, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების ორი ათასი წარმომადგენელი.

გაისმა მქუხარე ტაში, მისასალმებელი შეძახილები „ვაშა“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობას!“ როცა გამოჩნდნენ ვალტერ ულბრიხტი, მისი მეუღლე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავლსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. პ. კირილენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, ნოვოსიბირსკისა და ოლქის პარტიული და სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხალხთა ძმური მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა კარგ ნოვოსიბირსკის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ი. სერგეევმა.

საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

მიტინგზე გამოსულმა ქალაქისა და ოლქის მუშებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს, თუ რა ურღვევი ძმური მეგობრობა აკავშირებს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს.

დამსწრენი განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ ა. პ. კირილენკოსა და ვ. ულბრიხტის გამოსვლებს.

„ᲪᲘᲮᲚᲘᲡ“ IV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

3 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ IV ყრილობა. დილის სხდომაზე მოისმინეს სამანდატო კომისიის მოხსენება.

კამათში სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გამო გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ი. სნასტინი, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე ზ. ი. ხალილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. რომანოვი და სხვები. (საკდესი).

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ!

საუბარი საქართველოს კპ მაიაკოვსკის სასოფლო საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანთან პ. აბესაძესთან

— ᲩᲕᲔᲜᲘ საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები,— განაცხადა საუბარში პარტიული კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. აბესაძემ — თავდადებით შრომობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მეევნახეობას. ეს დარგი მშრომელთა საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

მაიაკოვსკელმა მეევნახეებმა აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს მკვეთრად გაადიდონ ყურძნის მოსავლიანობა და სამშობლოს მისცენ მეტი პროდუქცია. **მაიაკოვსკელებმა ვალდებულება იკისრეს წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 16.500 ტონა ყურძენი, მთლიანად რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 52 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 47 ცენტნერისა.** ამჟამად ყურადღებას ეამახვილებთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზებზე. მაიაკოვსკელების გადაწყვეტილებაა წელს ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება 20 პროცენტით შეამცირონ.

რაიონის მევეენახეები ჩაებნენ მეტი ყურძნისათვის ლაშქრობაში. **დაბა მაიაკოვსკის** კოლმეურნეობა იმისათვის იბრძვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 80 ცენტნერი ყურძენი, სახელმწიფოს მიჰყიდოს 352 ტონა ყურძენი. **დიმელი** მევეენახეები სახელმწიფოს მიჰყიდიან 450 ტონა ყურძენს, საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 75 ცენტნერს. ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრეს **ზენიდარის, გორას, დიხაშხოს** და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, აგრეთვე **ვარციხის** მევეენახეობის საბჭოთა მეურნეობამ.

რაიონში დიდ მზრუნველობას იჩენენ საზოგადოებრივი ვენახების ფართობებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. მარტო ამ გაზაფხულზე გაშენდა 150 ჰექტარი ახალი ვენახი, შემოდგომაზე გაშენდება 300 ჰექტარი. საამისოდ ნიადაგი მომზადებულია. ვენახები ძირითადად გაშენდება საკუთარი წარმოების ნერგებით. სანერგეებში არის 4 მილიონი ცალი ნერგი, რაც 1 მილიონით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე.

საწარმოო სამმართველოს მევეენახეებმა **პირობა დაიდეს 2-3 წელიწადში მთლიანად მოსპონ ვენახების სიმეჩხერე.** ფართოდ ინერგება ყურძნის მოვლა-მოყვანის მოწინავე გამოცდილება, მეცნიერების მიღწევები. ახლა ვენახის სამუშაოების 50-60 პროცენტი მანქანებით სრულდება. მევეენახეები ენერგიულად შრომობენ სასუქების ეფექტურად გამოყენებისათვის. ვენახებში უკვე შეტანილია 6.150 ტონამდე ორგანული და მინერალური სასუქები. კიდევ შეტანილი იქნება 200 ტონა აზოტიანი სასუქი.

პარტიული კომიტეტი, საწარმოო სამმართველო უფრო ქმედითს ღონისძიებებს განახორციელებენ იმისათვის, რომ შეიდწლედის მეექვსე წელს სასახელოდ შესრულდეს მევეენახეთა მიერ ნაკისრი ვალდებულება.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲙᲚᲘᲡ ᲠᲒᲛᲐ

ᲬᲔᲚᲘ ჩვენს რესპუბლიკაში თამბაქო უნდა დაიბოლ 14. 229 ჰექტარზე, 1 ივნისის ცნობებით დარგულია 8.174 ჰექტარი. **ყვარლის** საწარმოო სამმართველოში დარგულია 2.224 ჰექტარი თამბაქო ნაცვლად 2.330 ჰექტარისა. **ბოლნისელებმა** უნდა დარგონ 2.933 ჰექტარი, დარგულია 2.496 ჰექტარი. **აჯარის** ასს რესპუბლიკაში თამბაქოს რგვის დავალება შესრულებულია 81,2 პროცენტით, **აფხაზეთის** ასს რესპუბლიკაში მხოლოდ 30,1 პროცენტისა.

საჭიროა ეს სამუშაო დაჩქარდეს, თამბაქოს რგვის დავალება უახლოეს დღეებში უნდა შესრულდეს.

ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲠᲒᲕᲐ

ᲒᲔᲒᲛᲘᲗ დასარგავია 14.608 ჰექტარი კარტოფილი. 1 ივნისისათვის დარგული იყო 11.856 ჰექტარი. ეს სამუშაო გადაჭარბებთ აქვთ შესრულებული **ბოლნისის, ახალციხის, გარდაბნის, სიღნაღის** საწარმოო სამმართველოებს. მაგრამ მთელი რიგი საწარმოო სამმართველოები ჩამორჩნენ. **ახალქალაქის** საწარმოო სამმართველოში დარგულია 2.854 ჰექტარი ნაცვლად 3.450 ჰექტარისა. **თეთრწყაროელებს** ეს სამუშაო შესრულებული აქვთ 86 პროცენტით, **ხაშურელებს** — 87,4 პროცენტით, **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქის მშრომელებს — 44,5 პროცენტით, **აჯარის** მშრომელებს — 53,6 პროცენტით და სხვ.

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ

ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ასაღები კომბაინების რემონტი დასასრულს უახლოვდება. 1 ივნისისათვის მზად იყო 714 კომბაინი ნაცვლად 769-ისა. კომბაინების რემონტის დავალება დადაჭარბებით აქვთ შესრულებული **თელავის, ყვარლის, ბურჯაანის, სიღნაღის, ბოლნისის, დუშეთის** საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებსა და სასაბჭოთა მეურნეობებს. **გარდაბნის, თეთრი წყაროს, მცხეთის, ხაშურის** და ზოგიერთ სხვა რაიონში კომბაინების რემონტი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

აღსანიშნავია, რომ თითქმის არც ერთ რაიონში არ არის დამთავრებული სილოსსაცავები კომბაინების რემონტი. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა **მარცვალსაწმენდი** მანქანების რემონტის მხრივ. ეს სამუშაო რესპუბლიკაში შესრულებულია 54,7 პროცენტით, **თელავის** რაიონში — 72,7 პროცენტით, **ყვარლის** — 87,5 **საგარეჯოს** — 16,4, **სიღნაღის** — 46,7, **გარდაბნის** — 36,8, **ბოლნისის** — 21,1, **თეთრი წყაროს** — 27,3, **მცხეთის** — 38,9, **გორის** რაიონში — 66,7 პროცენტით.

მოსავლის აღება მალე დაიწყება, აუცილებელია სასწრაფოდ შევაკეთოთ კომბაინები, მარცვალსაწმენდი მანქანები და სხვა ინვენტარი.

ᲙᲘᲜᲝᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ“

მოსკოვი, 1 ივნისი (საკდესის კორ.). დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია მალე გამოუშვებს ახალ კინოჟურნალს „საბჭოთა ქვეყანას“. ჩვეულებრივი კინოჟრონიკისაგან განსხვავებით ეს ჟურნალი განკუთვნილია ფართო ეკრანის კინოთეატრებში ჩვენებისათვის.

ჟურნალი „საბჭოთა ქვეყანა“ კინომიმოხილვაა, რომელიც შეიცავს სპეციალურად გადღებულ სიუჟეტებს. ეს სიუჟეტები ძირითადად თემატურია, ასახავენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს.

კინომიმოხილვა „საბჭოთა ქვეყანა“ გამოვა ორ თვეში ერთხელ როგორც კინოჟურნალ „ახალი ამბების“ დამატება.

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲞᲝᲖᲜᲐᲜᲨᲘ

3 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოსკოვიდან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, პოზნანის საერთაშორისო ბაზრობაზე გაფრინდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ბ. ე. დიმიჩი. ამ ტრადიციულ ბაზრობაზე ჩვენი ქვეყანა წარმოდგენილიქნება 16 საგარეო ვაჭრობის გაერთიანებით.

საბჭოთა კავშირი პოზნანში უჩვენებს თავის წარმატებებს მრეწველობის სხვადასხვა დარგში. ექსპონატები ასახავენ, თუ როგორ ვითარდება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე ქიმია, მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, რადიოელექტროტექნიკა. (საკდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ

მოსკოვი. (საკდესის კორ.). ხუთ დღეს მიმდინარეობდა მოსკოვში სამეცნიერო კონფერენცია სსრ კავშირის საარქივო საქმის საკითხებზე. სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებმა — თვალსაჩინო მეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, მწერლებმა, ჩვენი ქვეყნის საარქივო დაწესებულებათა მუშაკებმა განიხილეს იმ დოკუმენტური მასალების შეკრების, დაცვისა და შენახვის ძირითადი პრობლემები, რომლებიც აშუქებენ ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას. დღეს კონფერენციის საბოლოო პლენარულ სხდომაზე მოხსენება „ახალი ენინური დოკუმენტების ძიება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებასთან დაკავშირებით“ წაიკითხა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ა. სოლოვიოვმა.

1970 წელს ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავენ კაცობრიობის უდიდესი გენიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემოქმედის და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი, საბჭოთა კავშირის მრავალი საარქივო და

სად, როგორ მიმდინარეობს

ნათესების დამუშავება, მკისათვის მზადება...

წერილების მიმოხილვა

ნათესების მოვლა-დამუშავებაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მოსავლიანობის მკვეთრად გადიდება. ამიტომ აუცილებელია მცენარეს შეუქმნით განვითარების ყველა პირობა. ნათესების მოვლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას.

ჩვენი რესპუბლიკის მინდვრებში აბიბინდა სიმინდი, ჰზესუმზირა, შაქრის ჭარხალი და სხვა კულტურები. ახლა მთავარია ნათესების მოვლა-დამუშავების განხორციელება საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. ამიტომ არის, რომ საწარმოო სამმართველოების, პარტიული კომიტეტების, სპეციალისტების ყურადღება მიპყრობილია ნათესების დამუშავებაზე.

სწორედ ამ საკითხებზე რედაქციაში ყოველდღიურად მოდის ცნობები, წერილები, ინფორმაციები, რომლებშიც მოთხრობილია, სად როგორ მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაოები.

— თესვა დროულად დავამთავრეთ, მაგრამ ეს ყველაფერი როდია, — გვწერს ბოლნისის რაიონის გომარეთის კოლმეურნეობის თავჯდომარე **ვ. მურეკიანელი**, — ამჟამად მთავარია ნათესების დამუშავება. მექანიზატორები **კ. ელიზაშვილი, ლ. რაზმაძე, შ. მახარაშვილი** გადაჭარბებით ასრულებენ ნათესების კულტივაციის ყოველდღიურ დავალებებს. სამეშოდგომო ნათესებსაც კარგი პირი უჩანს. წელს უხვ მოსავალს მოვიყვანთ.

— **გოგუცა ძაბახიძე** მოწმინავე ბრიგადირია **ზნაურის** საწარმოო სამმართველოს თიღვის კოლმეურნეობაში. ბრიგადამ დათესა 40 ჰექტარი სიმინდი. მცენარე კარგად აღმოცენდა. უკვე შეუდგნენ ნათესების დამუშავებას. 7 ჰექტარზე დათესილი ბარდა საუკეთესოდ გამოიყურება, — ასე გვატყობინებს კოლმეურნე **დ. ხარაული.**

ამავე რაიონიდან კორესპონდენტი **ვ. ცოტნაშვილი** იტყობინება, რომ ქვათეთრის მასწავლებლებიც ეხმარებიან კოლმეურნეობას ნათესების დამუშავებაში. მასწავლებელი **ი. ბაბარავი** ერთ ჰექტარ სიმინდის ნათესს კვთილსინდისიერად უვლის. იგი იბრძვის 60 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ნაკიანიდან ბრიგადირი **გ. ახალაია** გვატყობინებს, რომ კოლმეურნეები საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ნაკიანელებმა 100 ჰექტარი სიმინდი დათესეს, ეფექტურად იყენებენ ჰექტარზე მიიღოს 24 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 19 ცენტნერისა. ნაყოფიერად შრომობენ მეხუთე და მეექვსე ბრიგადები, კოლმეურნეები **დ. ჯარჩავა, ს. დარსალია, მ. კვიციანი, შ. ქარჩავა, ბ. ყალიჩავა, ლ. ბარამია, ო. ნადარაია** და სხვები.

ნათესების დამუშავებასთან ერთად მშრომელთა ყურადღების ცენტრში დგას თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის მზადება. საშემოდგომო ჯეჯილების კარგად დამუშავებამ, გაზაფხულზე გამოკვებამ ბევრგან დააჩქარა ჯეჯილის ზრდა. რამდენიმე კვირის შემდეგ ყანა დაპურდება და მკა დაიწყება.

— ხორბალი და ქერი 2.103 ჰექტარზე გვითესია, — **ხიღნაღის** რაიონიდან გვწერს ცნობილი მექანიზატორი **ი. ბაიდოშვილი,** — ნათესებს მოვლა არ მოკაკლით და მოსავალს კარგი პირი უჩანს. გადაწყვეტილი გვაქვს პურეულის მკა 15 დღეში დავამთავროთ. კომბაინერებმა **ლ. ჭერლაშვილმა, დ. ნავროზაშვილმა, ა. დრობუევმა, შ. უსეინაშვილმა** ვალდებულება იკისრეს დღეში 15-16 ჰექტარი პურეული მოკან. მაღაროელებმა პირობა დაღეს სახელმწიფოს ბეღლებში შეიტანონ ორი ათასი ტონა ხორბალი.

— შემოდგომის ნათესები დროულად დავამუშავეთ. ახლა სიმინდისა და ჰზესუმზირას ნათესების კულტივაცია წარიმართა. მაგრამ მოსავლის აღებაც კარს მოგვდგა. ასაღები გვაქვს 2.822 ჰექტარი ხორბალი და ქერი. მზად არის ცამეტი კომბაინი. მკას 18 დღეში მოვრჩებით, — გვწერენ სიღნაღის რაიონის არხიღოსკალის კოლმეურნეობის მექანიზატორები **გ. თინაშვილი, გ. მნათობოვი,** და **ს. იანვარაშვილი.** ამავე რაიონის ბოდბის კოლმეურნეობაში ნათესების დამუშავებასა და მოსავლის აღებისათვის მზადებაზე გვწერს **მ. ქვრივიშვილი.**

ნათესების მოვლა-დამუშავების მიმდინარეობაზე, მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხებზე რედაქციას სწერენ **ბ. გასპარაშვილი, კ. ბალდავა** (ახალციხე), **ი. გოკესაძე** (გურჯაანი), **ა. არსენაშვილი** (თელავი), **პ. ალავიძე** (ახალქალაქი). ისინი მშრომელთა ყურადღებას ამახვილებენ ამ დიდმნიშვნელოვან სამუშაოებზე, რათა შვიდწლედის მეექვსე წელი აღვნიშნოთ ახალი წარმატებებით, უხვი მოსავლით გავახაროთ სამშობლო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი—მოქმედებაში!

პერსპექტივები და გზები

ფართოა ლენინჩხუთელ მშრომელთა პერსპექტივები, დიდია მათი მომავლის გეგმები. საწარმოო სამმართველომ წელს სახელმწიფოს უნდა მისცეს 12 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 250 ტონა აბრეშუმის პარკი, 2.800 ტონა რძე, 450 ტონა ხორცი, 700 ათასი ცალი კვერცხი, უნდა აწარმოოს 12 ათასი ტონა და სახელმწიფოს მიაყიდოს 3.000 ტონა სიმინდის მარცვალი.

როგორც ვხედავთ, ვალდებულებანი მაღალი და პასუხსაგები, მაგრამ რეალურია. ამას ცხადყოფს გასული წლის შედეგები, როცა საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის, აბრეშუმის პარკის, სიმინდის, ხორცის, კვერცხის, დაფნის ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ხილის მიყიდვის გეგმები. მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 10.940 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი (საშუალოდ ჰექტარზე 4.580 კილოგრამი), რაც 1.845 ტონით მეტია საგეგმო დავალებაზე. ამ წარმატებისათვის ლენინჩხუთის საწარმოო სამმართველოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

მომდინარე წლის უხვი მოსავლის მისალებად საჭირო წინაპირობები დროზე შეექმნით. აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად მოეწყო ჩაის პლანტაციების შებარვა და გასხვლა, ფორმის მიცემა. ჭადაჭარბებით შესრულდა ჩაის უხვში ფოთლისა და საკოფეინე მასალის დამზადების გეგმები. წარმატებით ჩატარდა მარცვლეული კულტურების თესვა. წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მინერალური და ორგანული სასუქების ეფექტურად გამოყენებას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ დაინტერესებას, შრომის დამატებითი ანაზღაურების სისტემის სწორად მოწყობას. ამ მხრივ ჩვენთან უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ გაკეთდა. მტკიცედ დამკვიდრდა წესი: კარგი შრომისათვის კოლმეურნემ კარგი ანაზღაურება მიიღოს.

მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ შრომის დამატებითი ანაზღაურება კარგ ეფექტს იძლევა იქ, სადაც პრემიალურ სისტემას საფუძვლად უდევს მოსავლიანობის დავალება და მისი შესრულების მაჩვენებელი. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ამას არ ითვალისწინებდნენ, რის გამო შრომის დამატებითმა ანაზღაურებამ ძირითად ანაზღაურებას გადააჭარბა. წელს კოლმეურნეობათა საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამ საქმის მოგვარებას. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ახლა შრომის დამატებითი ანაზღაურების სისტემა ყველგან სწორად არის შეშუშავებული და უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა დაინტერესების ზრდას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა ამოცანად დაგვიხასა სარწყავი სისტემის გაფართოება და ნათესი ფართობების რწყვის გაუმჯობესება, აგრეთვე დაჭაობებული ფართობების დაშრობა. ამ მხრივ ჩვენი საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში დიდი რეზერვებია. კოლხიდის დაბლობში 29 ათასი ჰექტარი მიწა შეიძლება ჩადგეს ხალხის სამსახურში და მასზე მოეწყოს ახალი მსხვილი მეურნეობები, გაშენდეს ჩაი და სხვა ტექნიკური კულტურები.

1961-1963 წლებში კოლხიდმშენის ლანჩხუთის უბნის საშუალებით ჭყონდგორა-ფიჩორას მასივზე დაშრობილ იქნა 1.470 ჰექტარი მიწა, მიმდინარე წელს კი უნდა დაშრეს 1.310 ჰექტარი, ამასთან უნდა დამთავრდეს წყალმიმღები არხებისა და შემკრებების მშენებლობა თავიანთი ნაგებობებით. მომდინარე წლის პირველ კვარტალში წყალთა მეურნეობის სამინისტროს ფოთის № 1 მექანიზაციის სამმართველოს (უფროსი ამხ. ცომაია) ხელშეკრულების თანახმად 276 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოები უნდა შეესრულებინა, ფაქტიურად კი მხოლოდ 25.000 კუბმეტრის შესრულება უზრუნველყო. ცხადია, ასეთი მუშაობით შეუძლებელია დასახული ამოცანების შესრულება და აუთვისებელი მიწების ხალხის სამსახურში ჩაყენება.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით არ ხერხდება იმ მიწების მაქსიმალურად გამოყენებაც, რომელთა დასაშრობად თავის დროზე დიდი შრომა და ხარჯები დახარჯა. ამის მიზეზი ის არის, რომ 1951 წელს გაყვანილი არხები დღემდე არ გაწმენდილა და მიწით ამოვსო. არხების გაწმენდა და მოვლა-პატრონობა დაკისრებული აქვს მახარაძის სახელტემო სამმართველოს (უფროსი ამხ. სიმვოლიდი). მაგრამ, როგორც ჩანს, იგი სასხვათაშორისოდ უყურებს ამ დიდ საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულება ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობების განმტკიცებაზე გამოცდილი, უნარიანი კადრებით. უკანასკნელ წლებში განხორციელდა საჭირო ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობათა 31 თავჯდომარიდან 25-ს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს. კოლმეურნეობებში 25 უმაღლესი განათლების აგრონომი მუშაობს. დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფერმებისა და კოლმეურნეობათა ბრიგადების დაკომპლექტებას უნარიანი კადრებით. 5 ფერმის გამგეს უმაღლესი, 14-ს კი საშუალო სპეციალური განათლება აქვს. კოლმეურნეობების 163 ბრიგადირიდან 130-ზე მეტი საშუალო და უმაღლესი განათლებით არის, ხოლო საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საერთო რიცხვის 65 პროცენტს უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული.

სასოფლო პარტიული კომიტეტი ამ დღეებში

წლების მანძილზე სასოფლო-სამეურნეო არტელებს წარმატებით უძღვებიან და განუხრელად ავითარებენ საზოგადოებრივ მეურნეობას კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები: ეწრისა—ქ. მანწყავა, ქვემო აკეთისა—ნ. ღლონტი, ჩიბათისა—ქ. ჯორბენაძე, ნიგეზინისა — ვ. იმნაძე, ლანჩხუთისა — მ. იმნაძე, ორაგვისა — ა. ზენაიშვილი, ვეიმბალაურისა —პ. იმნაძე და სხვები.

სახელი გაითქვეს ახალგაზრდა კადრებმაც — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა: პ. შევარდნაძემ (მამათი), გ. ღლონტმა (ზემო აკეთი), დ. აფხაზავამ (ჯურუყვეთი), გ. ანთაძემ (ხორეთი), კ. სარჭველაძემ (გულიანი), გ. მურვანიძემ (არჩიული), ნ. გოგეშვილმა (ჩოლობარეგი), ბ. ჩხაიძემ (აცანა), გ. ხოფერიამ (ნინეთი), გ. იმნაძემ (ლესი) და სხვებმა. მათი ხელმძღვანელობით ეს კოლმეურნეობები ეკონომიურად და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ, ყოველწლიურად ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას და პირნათლად ასრულებენ სახელმწიფო ვალდებულებებს.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში ენთუზიაზმით ებმებიან ინტელიგენციის წარმომადგენლები, ყველა, ვისაც სოფელთან აქვს კავშირი.

ყოველივე ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ სოფლის მეურნეობის კადრებთან მუშაობაში დაწყებული არა ვართ ნაკლოვანებებისგანაც. ზოგიერთი კოლმეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩება, ვერ ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის დავალებებს, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმებს. ეს კი იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ცოტაა კვალიფიციური მუშაკები, ისინი განმტკიცებული არ არიან ისეთი კადრებით, რომლებსაც არ ეშინიათ სიძნელეებისა და ძალას არ ზოგავენ მათ დასაძლევად.

საწარმოო სამმართველო და მისი პარტიული კომიტეტი ყოველთვის სწორად როდი განსაზღვრავენ კადრების საქმიან და პოლიტიკურ თვისებებს, რასაც შემდეგ არასასურველი შედეგები მოსდევს. მაგალითად, ნინოშვილის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რეკომენდაცია მიეცით კომუნისტ აგრონომს ს. ზენაიშვილს, რომელმაც ვერ გაამართლა ეს მაღალი ნდობა და სახელი გაიტეხა მშრომელთა თვალში. პარტიული კომიტეტის ბიურო იძულებული გახდა კოლმეურნეობის საერთო კრებისათვის ერჩია გაეთავისუფლებინა ს. ზენაიშვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდგომ განვლილ პერიოდში სოფლად მნიშვნელოვნად გაძლიერდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებენ მშრომელთა აქტივობის ასამაღლებლად. ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის მთელი არსენალი ჩაყენებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების სამსახურში. კოლმეურნეობებში რეგულარულად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები. მეურნეობათა ხელმძღვანელები, ბრიგადირები, ფერმის მუშაკები ქიმიის საკითხის დანერგვას მიეძღვნა მამათის, ახალსოფლის, ჭანჭათის, ეწრის, ლესის და მთელი რიგი სხვა სოფლების კოლმეურნეობებში მოწყობილი ეკონომიური კონფერენციები, რომლებმაც მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის საკითხებზე წელს წაკითხულ იქნა 300-ზე მეტი ლექცია და მოხსენება.

პარტიული განათლების ყველა რგოლში კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები ღრმად სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს. სიღნაღელთა და ჭანჭათის მაგალითისამებრ კოლმეურნეობებში შემოღებულ იქნა ჩაის პლანტაციების გამოკვება კომპლექსური, გაუჯრობესებული მეთოდით (მინერალური და ორგანული სასუქების ერთობლივად შეტანით), რაც ხელს უწყობს ფოთლის მოსავლის მაქსიმალურად ზრდას.

გასულ წელს ლანჩხუთის კოლმეურნეობაში დაითესა კალიუმ-ბრომიდის ხსნარით დამუშავებული სიმინდის თესლი, რაც 20-25 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევა. ამ წესით დამუშავებული თესლი წელს სამმართველოს ბევრ კოლმეურნეობაში დაითესა. წარმოებაში კარგახანია დაინერგა აგრეთვე ისეთი პროგრესული ღონისძიებანი, როგორიც არის ჩაის ბუჩქების ნახევრადმძიმე გასხვლა, ქოროხების ბაგურ-ბანაკური შენახვა, კომბინირებული სილოსის დამზადება, დასილოსება შარდოვანას გამოყენებით, შრომის ყოველთვიური გარანტირებული ანაზღაურება, შიდასამეურნეო ანგარიში და სხვ., რაც, ცხადია, კარგ შედეგებს იძლევა.

მიუხედავად ამისა, მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმეში ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს.

ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია კომუნისტებისა და კოკავშირელების წარმოების გადამწყვეტ უბნებზე განწილება და მათი მუშაობის სწორი ორგანიზაცია.

ადგა უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტი პერიოდი. ცხარე დღეები აქვთ მეჩაიეებს, რომლებიც უქმად არ კარგავენ არც ერთ წუთს. ახლა ბევრად იმაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლია მოკრეფილი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ზოგიერთ დღეს 1,5-2-ჯერ მეტი „მწვანე ოქრო“ იკრიფება ვიდრე შარშან. ჩაის კრეფის ტემპი ყოველდღიურად ძლიერდება.

საწარმოო სამმართველომ და მისმა პარტიულმა კომიტეტმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამის შედეგად საწარმოო სამმართველო გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებებს. მაგრამ ლესის, ჩიბათის, ახალი სოფლის, ნიდამაღალას, ღრმაღელის, ეწრის, ჩოჩხათის, აცანის და მთელი რიგი სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, რომლებიც ამ საერთო მაჩვენებლებს ამოეფარნენ, მკვეთრად შეამცირეს რძის წარმოება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კეთილარის, გვიმბალაურის, ლანჩხუთის, ჩიბათის, ღრმაღელის, ლესისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაუშვეს პირუტყვის სიკვდილიანობა, სახელმწიფოს ცუდად ნაკვები პირუტყვი ჩაბარეს. „საქსოფლტექნიკის“ ლანჩხუთის გაერთიანება ვერ უზრუნველყოფს მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელებას, მეცხოველეობაში პროგრესული მეთოდების დანერგვას.

მეცხოველეობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ დღემდე ამ დარგში სათანადო ყურადღება არ ექცევდა შრომის დამატებითი ანაზღაურების სისტემის დანერგვას.

ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებანი თავიანთ საბრძოლო პროგრამად გაიხადეს. ისინი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას ყველაზე დამკვრელური ფრონტად თვლიან. საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი უფრო სრულყოფს თავისი ორგანიზატორული მუშაობის სტილსა და მეთოდებს, განამტკიცებს პარტიის ცოცხალ საქმიან კავშირს მასებთან, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელთან.

ამაში ვხედავთ ჩვენი მიღწევების გასაღებსაც.

დ. საბაშვილი,
ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

გ. ძიძარიას საიუბილეო საღამო

აფხაზეთის საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ალექსის-ძე ძიძარიას დაბადების 50 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ საღამოზე წაკითხულ იქნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება იუბილარისადმი.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

იუბილარს სიგელი აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადასცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. შინკუბამ.

(საკ. კორ.).

ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მეხუთე ნომერი

გამოვიდა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ყოველთვიური ჟურნალის „საქართველოს ეკონომისტის“ მეხუთე ნომერი.

ჟურნალი იხსნება სარედაქციო სტატიით „საბჭოთა პრესა მეურნეობრივი მშენებლობის საკითხების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში“.

ნომერში დიდი ადგილი უკავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ა. მეჟავნაძის სტატიას „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ძირითადი საკითხები“. სტატიაში ხაზგასმულია, რომ გარკვეული სახეობის პროდუქტების წარმოებაში მიზანშეწონილია შეიქმნას მსხვილი სპეციალიზებული მეურნეობები. გამსხვილებასა და სპეციალიზაციას შედეგად მოსდევს მოსავლიანობის გადიდება და პროდუქტიულობის ამაღლება. მაგალითად, სპეციალიზებულ მეურნეობებში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისა და სხვადასხვა აგროტექნიკური ღონისძიების განხორციელების პირობებში ერთ ადამიანზე 50 ჰექტარ ფართობზე ან 50 სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ საღამოზე წაკითხულ იქნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება იუბილარისადმი.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

იუბილარს სიგელი აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადასცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. შინკუბამ.

(საკ. კორ.).

მწირი მიწების განკურნება

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ მეცნიერების განვითარების შედეგად ახლა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბედს დამოკიდებულება ბუნების სტიქიის ჭირვეულობაზე მნიშვნელოვნად შემცირდა და რომ ახლანდელ ეტაპზე სოფლის მეურნეობის აღმავლობის, მის საწარმოო ძალთა განვითარების მთავარი გზა არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა ამასთან მიგვითითა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სარწყავი მიწათმოქმედების ყოველი ღონისძიებით განვითარება, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის ორგანიზატორულ მუშაობას.

ჩვენი რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტროს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი საქართველოს ჰიდროტექნიკოს ინჟინერ-ტორთა და მელიორატორთა მეცნიერული მუშაობის ის ბაზაა, სადაც სარწყავი მიწათმოქმედების აღმავლობის მთელი რიგი პრობლემების მეცნიერულად გადაჭრისათვის დიდი შემოქმედებითი მუშაობა გაჩაღებული და წარმატებებიც საყურადღებოა.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი, რომელშიც ტექნიკურ მეცნიერებათა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა 6 დოქტორია და 42 მეცნიერებათა კანდიდატი, განვლილ 1963 წელს მუშაობდა სარწყავი მიწათმოქმედების ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების შესწავლა-გადაჭრაზე, როგორიც არის სარწყავი და დასაშრობი მიწების მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებათა დამუშავება, სამელიორაციო და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რაციონალური კონსტრუქციების გამონახვა, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია სამელიორაციო მეურნეობაში და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ზმირად რომელიმე პრობლემის შესწავლისას წამოიჭრება ხოლმე მრავალი ახალი საკითხი, რაც უთუოდ მოითხოვს შემდგომს მეცნიერულ დამუშავებას. მაგალითად, შარშან ასეთი „ზეგეგმიური“ საკითხები იყო — თელეთის სარწყავი სისტემაში მორწყვის გაუმჯობესებული ტექნიკისა და ხეხილების დაგვნა, სამგორის ველის პირობებში სარწყავი წყლის გამოყენების რაციონალური ღონისძიებების გამონახვა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პირობებში ერთწლიანი ნათესების მორწყვის გადების დადგენის თაობაზე ინსტრუქციის შედგენა, ჩაის პლანტაციების მორწყვის რეჟიმის დაზუსტება.

გასულ წელსაც ინსტიტუტის სამუშაო პროგრამაში ერთ-ერთ პირველ თვმად შეტანილი იყო შემოდგომის ნათესებისა და სიმინდის ყანების მორწყვის გაუმჯობესებული ტექნიკის დანერგვა.

ამ მიზნით როგორც გორის რაიონის კოლმეურნეობებში, ისე სამგორის საბჭოთა მეურნეობებში გამოვყავით საცდელ-საჩვენებელი უბნები, სადაც (მორწყვას ვაწარმოებდით ჩვენს ინსტიტუტში დამუშავებული გაუმჯობესებული მეთოდებით. მაგალითად, „განთიადში“ 8,5 ჰექტარზე დათესილი იყო შემოდგომის ხორბალი. ჩვენ ამ ფართობიდან ავიღეთ 30 ცენტნერი მოსავალი ყოველ ჰექტარზე, მაშინ როდესაც იმავე პირობებში დანარჩენი საკოლმეურნეო ნაკვეთების მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 13,8 ცენტნერი შეადგინა. მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვების“ პირველი ბრიგადის უბანზე, — რომელიც საცდელ-საჩვენებელი იყო, პამიდორის მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 107,8 ცენტნერი, ხოლო მეურნეობის დანარჩენ ნაკვეთებზე — მხოლოდ 66,8 ცენტნერი. ახალი სამგორის საბჭოთა მეურნეობაში საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთზე აღებულ იქნა 29,83 ცენტნერი სიმინდი ყოველ ჰექტარზე, ხოლო დანარჩენ ნაკვეთებზე —19,7 ცენტნერი.

ამრიგად, მორწყვის გაუმჯობესებული მეთოდების დასანერგავად ინსტიტუტის მიერ გაწეულმა შრომამ მკაფიო და საგულისხმო შედეგები უჩვენა სარწყავი მიწათმოქმედების მშრომელებს.

სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში ბევრი თავისებურებით ხასიათდება. ალაზნის ველის მიწები რომ მოლიანად ჩავაყენოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამსახურში, ეს დიდი საქმე იქნებოდა, მაგრამ ამ გარემოებას ხელს უშლის ნიადაგის სიმლაშე, დამარილიანება. ალაზნის ველზე ეროვნული ეკონომიკისათვის ამ ფასეულობის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულებაა სარწყავი მიწათმოქმედების ეფექტურობის ამაღლება, ამ საქმეში ინსტიტუტის ერთ-ერთ ადგილი ეკავა ალაზნის ველზე ბრძოლა ეროვნული ეკონომიკისათვის ალაზნის ველზე ეროვნული ეკონომიკისათვის ალაზნის ველზე ეროვნული ეკონომიკისათვის ალაზნის ველზე

დიდი ინტერესი

სტოკჰოლმი, 2 ივნისი (საკადესი). ჩვენ დიდი სიხარული მოგვეწყალა — პატივი გვექნება სტუმრად მივიღოთ პრემიერ-მინისტრი ხრუშჩოვი და მისი მეუღლე, წერს შვეციის პრემიერ-მინისტრი ტაგე ერლანდერი გაზეთ „სტოკჰოლმს-ტიდნინგენის“ დღევანდელი ნომრის სპეციალური დანართის შესავალ სტატიაში, დანართისა, რომელიც მთლიანად ეძღვნება საბჭოთა კავშირს. ჩვენ მოველით ამ ვიზიტს და ხალისით მივიჩნევთ მას შვეციისა და საბჭოთა კავშირის კარგი ურთიერთობის დადასტურებად.

მიმდინარე წელს აღინიშნა ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 40 წლისთავი, ებრივი ცხოვრების ყველა დარგში ამ დროის მანძილზე ისეთი ტემპითა და ისეთი მოცულობით ვითარდებოდა, რომ საეჭვოა ასეთი განვითარება წარმოგვედგინა 1924 წელს. ეს შეეხება ვაჭრობას, კულტურულ გაცვლას, ტურიზმს.

ეს აქტივობა, აღნიშნავს ერლანდერი, შეესაბამება ახლანდელი დროის სულისკვეთებას.

დანართი, რომლის სათაურია „1964 წლის საბჭოთა კავშირი“, შეიცავს მრავალფეროვან და შინაარსიან მასალას, რომელიც შვედ მკითხველს აცნობს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას...

წერს შემდეგ პრემიერ-მინისტრი ერლანდერი. ჩვენი ურთიერთობა საზოგადოებრივი ...

საგზოთა კავშირ-ინდოეთის კონტრაქტი

დელი, 2 ივნისი. (საკადესი). დღეს აქ საბჭოთა კავშირის გაერთიანება „ტექნექსპორტმა“ და ინდოეთის ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სახელმწიფო კომისიამ ხელი მოაწერეს სტრუქტურული ბურღვის დანადგარების, მათი სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მოწყობილობის მიწოდების ახალ კონტრაქტს. საბჭოთა კავშირის მხრივ კონტრაქტს ხელი მოაწერა სსრ კავშირის ინდოეთის საელჩოს ეკონომიურ საკითხთა მრჩეველმა მ. ნ. სილუიანოვმა, ინდოეთის მხრივ — ნავთობისა და ბუნებრივი გაზის კომისიის წევრმა ა. ზამანმა.

კონტრაქტის ხელმოწერის დროს გამოსულმა მ. ნ. სილუიანოვმა და ა. ზამანმა აღნიშნეს, რომ ნაყოფიერია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ტექნიკური თანამშრომლობა. ა. ზამანმა ხაზი გაუსვა, რომ ახალი კონტრაქტი საშუალებას მისცემს კომისიას გააფართოოს და უფრო ეფექტიანი გახადოს ნავთობისა და გაზის ძიება.

მრავალმხრივი ტრიუმფი

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკადესი). სათაურით „მრავალმხრივი ტრიუმ ფი“ გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი“ აქვეყნებს თვისი მიმომხილველის მარგარიტა ჰეგინსის სტატიას ქაიროდან **ნ. ს. ხრუშჩოვის** ყოფნის შესახებ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

„ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, სადაც იგი ჩავიდა ასუანის კაშხალის გახსნის დღესასწაულზე, ბევრ მხრივ გახდა ტრიუმფი“, — აცხადებს მარგარიტა ჰეგინსი.

„სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, — წერს იგი, — რომ რუსებმა არა მარტო შესანიშნავი გმირობა ჩაიდინეს, ცხადყვეს რა თავიანთი ინჟინრების მაღალი ოსტატობა; ახლა ყველა დარწმუნებულია, რომ ისინი კაშხალის მშენებლობას ისევე ბრწყინვალედ დაამთავრებენ, როგორც მისი პირველი რიგი დაამთავრეს“.

ეხება რა ასუანის კაშხალის მნიშვნელობას, ჰეგინსი ხაზგასმით აღნიშავს, რომ „აფრიკის ქვეყნებში ამასწინანდელი მოგზაურობის დროს მას „არაერთხელ მიეცა შემთხვევა დარწმუნებულიყო, თუ რა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა აფრიკელებზე ლეგენდარული მდინარის ნილოსის დამორჩილებამ, რაც საბჭოთა კავშირის დახმარებით განხორციელდა“.

საგზოთა კავშირი ტრიუმფალურ ... ...

მოღალატენი სასჯელს ვერ გაექცევიან

ჰავანა, 3 ივნისი (საკადესი). ქალაქ კამაგუეის რევოლუციურმა ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა სამშობლოს სამ მოღალატეს ჯაშუშობისათვის შეერთებული შტატების სასარგებლოდ.

როგორც სასამართლო გამოძიების დროს გამოირკვა, ბრალდებულებმა ფერნანდეს მეერანომ, ნამუელ პარადელა გომესმა და მარტინეს ტაპიამ კამაგუეის პროვინციაში მოაწყვეს ჯაშუშური ქსელი, რომელიც შეერთებული შტატებიდან იღებდა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და გადასცემდა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ცნობებს.

ჯაშუშური ქსელის მეთაური ფერნანდეს მედრანო გადაიბირა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ 1961 წლის დამლევს.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

საგზოთა კავშირ-ინდოეთის კონტრაქტი

მიუმხრობლობა ინდოეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპია

დელი 2 ივნისი (საკადესი) მიუმხრობლობის პოლიტიკა კვლავ იქნება ძირითადი პრინციპი ინდოეთის საგარეო პოლიტიკისა, განაცხადა კონგრესის საპარლამენტო ჯგუფის ახლად არჩეულმა ლიდერმა და ინდოეთის მთავრობის მეთაურმა ლალ ბაჰადურ შასტრიმ, რომელიც დღეს გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე დელიში. ინდოეთი შეეცდება მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს იმ ქვეყნებთან, რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც მეგობრებმა.

შეეხო რა ლაოსში შექმნილ მდგომარეობას, ლ. ბ. შასტრიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთი მთელი სერიოზულობით ეკიდება ამ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას. მან თქვა, რომ ინდოეთის მთავრობა სწავლობს საბჭოთა კავშირის ამასწინანდელ წინადადებას ლაოსის პრობლემის მოწესრიგების გზების შესახებ. შასტრიმ ამ წინადადებას გონივრული წინადადება უწოდა. ლაოსის საკითხი, ხაზგასმით აღნიშნა მან, შეიძლება საბოლოოდ გადაიჭრას მხოლოდ ლაოსის შესახებ ჟენევის კონფერენციის მონაწილე 14 ქვეყნის წარმომადგენლთა კონფერენციაზე.

ინდოეთი, თქვა შემდეგ შასტრიმ, ისევ როგორც ნერუს სიცოცხლეში, იბრძოლებს საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებისათვის.

ჯავაჰარლალ ნერუს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, თქვა შასტრიმ, მთელ ინდოეთს დაეკისრა მძიმე პასუხისმგებლობა. ჩვენ ბეჯითად უნდა ვიშრომოთ, რათა გავამართლოთ იმედი, რასაც ჩვენზე ამყარებდა ნერუ.

შასტრიმ აღნიშნა, რომ საჭიროა ინდოეთის თავდაცვის განმტკიცება. მაგრამ, ხაზი გაუსვა მან, ეს როდია ყველაზე დიდნიშვნელოვანი ამოცანა. ჩვენს ქვეყანას ახალი სოციალური წესი სჭირდება. ეს ნიშნავს, რომ არ შეეწირგდეთ სიმდიდრის კონცენტრაციას ერთ ხელში. ჩვენ შშვიდობიანი გზით უნდა მოვახდინოთ ეკონომიური რევოლუცია.

შასტრიმ დიდი ყურადღება დაუთმო ერთიანობის საკითხს და იმას, რომ საჭიროა აღმოიფხვრას შუღლი თემთა შორის.

იზრდება სამუშაო კვირა

საფრანგეთის შრომის სამინისტროს მონაცემების თანახმად, საფრანგეთში სამუშაო კვირის ხანგრძლივობა არა თუ არ მცირდება შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად, არამედ, პირიქით, დიდდება. სამუშაო კვირის ხანგრძლივობის რეკორდი ეკუთვნის სამშენებლო მრეწველობას. აქ იგი 50-55 საათს, ზოგჯერ კი უფრო მეტ ხანს გრძელდება.

შეღავათი დივერსანტებს

ბონი, 2 ივნისი. (საკადესი). დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგმა მოიწონა კანონპროექტი, რომლითაც იცვლება დასავლეთ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ის ნაწილი, რომელიც ეხება სასჯელს დივერსიული აფეთქებების მოწყობისათვის. ახალი კანონი მკვეთრად ამცირებს სასჯელის ზომას ამ დანაშაულისათვის.

ბუნდესტაგის ფრაქციებმა თითქმის ერთხმად მოიწონეს კანონპროექტი ჯერ კიდევ 29 აპრილს, მაგრამ იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ახლა, მისი გამოქვეყნების და ამრიგად ძალაში შესვლის რამდენიმე დღით ადრე. დასავლეთგერმანელ კანონმდებლებს საფუძვლიანი მიზეზები ჰქონდათ, რომ უხმაუროდ გაეუვანათ კანონი. როგორც გაზეთი „დი ველტი“ აღნიშნავს, იგი მიიღეს უწინარეს ყოვლისა, იმ მიზნით, რომ შეამსუბუქონ სასჯელი აფეთქებათა მოწყობისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე.

ახალი კანონი შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა მორიგ ღონისძიებად, რომელიც დაიწყეს იმ მიზნით, რომ წაახალისონ იმათი მოქმედება, ვინც ვითარებას ამწვავებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე.

ამასა, ამ კანონის შემოღება გააკეტილებს ემიგრანტი ნაბოლარების საქმიანობას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამჟამად ბონში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ემიგრანტული ხოვრატული ორგანიზაციის წევრთა ჯგუფის საქმის გამო, რომლებმაც აფეთქება მოაწყეს იუგოსლავიის სავაჭრო მისიის შენობაში ბად-გოდესბერგში.

... ...

... ...

... ...

... ხელოვნება

რუსეთი

როსინისა და ვერდის სამშობლოში

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ იტალიაში საგასტროლოდ იყო ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი პიანისტი, პ. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი **ელისო ვირსალაძე.** ამ დღეებში პიანისტი თბილისში დაბრუნდა. **„კომუნისტის“** კორესპონდენტმა სთხოვა ელისო ვირსალაძეს თავისი იტალიური შთაბეჭდილებები გაეზიარებინა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

— იტალია საზღვარგარეთის მესამე ქვეყანაა, სადაც ჯერჯერობით მომიხდა გასტროლები გამემართა. მანამდე ავსტრიასა და პოლონეთში ვიყავი. ამჯერად ჩემთან ერთად იყო მეგვიოლინე ზორა შახმურზაევა. კონცერტებზე ერთად გამოვიოდით.

ვიყავი მხოლოდ რომსა და ფლორენციაში. რომში ფუთი კონცერტი გვქონდა — რომის უნივერსიტეტის საატო დარბაზში „აულა მაცნაში“ („აულა მაცნა“ დიდ დარბაზს ნიშნავსო, — გვითხრეს მახპინძლებმა); იტალიის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საზღვარგარეთელი სტუდენტებისათვის; რომის რადიოსა და ტელევიზიაში (ამ კონცერტს კიდევაც გადასცემდნენ და კიდევაც იწერდნენ); „დანტე ალიგიერის საზოგადოების“ დარბაზში „პალაცო ფირენცეში“ და სსრ კავშირის საელჩოს საატო დარბაზში. ფლორენციაში კონცერტი მოეწყო „სასახლე პიტის“ თეთრ დარბაზში.

ჩემი რეპერტუარი ძირითადად ასეთი იყო: შუბერტის — მუსიკალური მომენტი, შოპენის — მუსიბე ბალადა, ლისტის — ეტიუდი ფა-მინორი და ესპანური რაფსოდია, პროკოფიევის — მეორე სონატა. რამდენადმე განსხვავებული რეპერტუარით გამოვედი „პალაცო ფირენცეში“. „დანტე ალიგიერის საზოგადოებაში“ გამართული კონცერტი განსაკუთრებით იმიტომაც მინდა მოვიხსენიო, რომ აქ პროკოფიევის, შოსტაკოვიჩისა და სკარლატის (ეს ძველი იტალიელი კომპოზიტორია) ნაწარმოებების გარდა შევასრულე ორი ნაწყვეტი ალექსი მატვეარიანის ბალეტ „ოტელოდან“ („იაგო“ და „მავრიტანული ცეკვა“) და მისივე „ესპრომტი“. მე მგონია, სასიხარულოდ დაგრჩებათ გაცნობოთ, რომ ქართველი კომპოზიტორის მუსიკას მსმენელები დიდი მოწონებით შეხვდნენ...

ახლა ისევ ვმეცადინეობ და მომავალი გასტროლებისათვის ვემზადები შემოდგომაზე ბულგარეთსა და პოლონეთში წავალ.

* * *

იტალიის საზოგადოებრიობა და პრესა გულთბილად გამოეხმაურნენ საბჭოთა მუსიკოსების კონცერტებს. გვინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავაცნოთ რამდენიმე ამონაწერი იტალიური გაზეთებიდან, რომლებიც აკრძოდ ელისო ვირსალაძეს შეეხება.

„პიანისტი ელისო ვირსალაძე მართალია ჯერ სრულიად ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი კონკურსის/გმირია. მისი მუსიკალური ბგერა გამორჩევა ვაკაცური სისავსით, როგორც, მაგალითად, გილელსისა. შოპენისა და ლისტის ნაწარმოებებთან ერთად მან ენერგიულად შეასრულა პროკოფიევის მეორე სონატა, რითაც დაამტკიცა, რომ შინაგანად ბრწყინვალედ დაუძლეია წმიდა ტექნიკური მხარე, რომელიც ამ ნაწარმოებში თავბრუდახვევამდე რთული და ძნელია“,— წერდა გაზეთი „უნიტა“.

გაზეთი „პაეზე სერა“ აღნიშნავდა: „ელისო ვირსალაძე კოლორიტული და უადრესად ენერგიული პიანისტია. თავისი პიანიზმის ორიგინალური ხასიათიდან

ქალაქი-ბაღი — ასე ეძახიან სოხუმს ჩვენი თანამედროვენი. აქ მშრომელთა განკარგულებაშია საუკეთესო სასტუმროები, რომელთაგან საქვეყნო სახელი მოიპოვა „აფხაზეთმა“, სურათზე: სასტუმრო „აფხაზეთი“.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

თეატრალური ქრონიკა

□ **ზესტაფონში** საგასტროლოდ იყო თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი, რომელმაც მაყურებელს უჩვენა ა. კასონას ცნობილი პიესა „ხეები ზეზეურად კვდებიან“.

სპექტაკლში მონაწილეობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე.

აპ. ფოცხვერაშვილი.

□ **სამხრეთ ოსეთის** კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა ონანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის სასოფლო კლუბში წარმოადგინა მაინ-რიდის „უთავო მხედარი“.

ივ. ჩხაიძე.

□ **კასპის** საქალაქო კულტურის სახლის თვითმოქმედმა თეატრალურმა კოლექტივმა განახორციელა სტეფანსკის ანტირელიგიური პიესის „ჯადოს“ დადგმა.

დ. ხუციშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ჩვენი სტუმრების ხელოვნება

მღერის ტიტუს მოორარუ

თვითეული მსახიობი თავისი ნიჭის ხასიათის მიხედვით გმირის სახეში აკლებს მისთვის ყველაზე მახლობელ ნიშნებს და ამას საფუძველზე ქმნის თავის ინტერპრეტაციას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან ჩამოსულ მრავალ გამოჩენილ, ნიჭიერ ვოკალისტს შეუსრულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მხატვარ კავარადოსის სახე ჯ. პუჩინის ოპერა „ტოსკაში“. ესენი ძირითადად ლირიკულ-დრამატული პლანის მომღერლები იყვნენ. მაგრამ აი, ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ტიტუს მორარუ ლირიკული მომღერალია, და მის მიერ შექმნილი კავარადოსის სახე ეკუთვნა რბილი ლირიკული ტონებით, თან რომანტიკის პოეტური იერი, დაკრავდა.

მსახიობს კავარადოსის სახის გადაწყვეტისათვის საფუძვლად აუღია ნაწარმოების სიუჟეტური აღნაგობის სატრფიალო ხაზი, რაც ასე მკაფიოდ და დახვეწილი ფსიქოლოგიზმით შეუქმნია ჯ. პუჩინის, და ჩინებულად ასრულებს თავისი გმირის ყველა ლირიკულ სცენას.

წარსულ დღეთა ბედნიერების ტკბილი მოგონებანი, სიცოცხლის უზომო წყურვილი, რაც ასე ემიციურად ასახულია კავარადოსის სიკვდილისწინა არიაში, ტ. მორარუმ დიდი სიმბოთი და გულშიჩამწვდომად გადმოსცა. რუბინელი მომღერლის ვოკალურ კულტურას, მის მუსიკალობას, სამეცხრულებლო უშუალობას მაყურებელი ადვილად აღიქვამს.

რადამესის გმირული პარტია ჯ. ვერდის ოპერა „აიდაში“ (ტ. მორარუს მეორე გამოსვლა) ერთ-ერთი ძირითადია დრამატული ტენორის რეპერტუარში. უეჭველია ამ პარტიის შესრულება მცირე სიძნელეს როდი წარმოადგენს ლირიკული მომღერლისათვის.

სამწუხაროდ, ამ სპექტაკლმა ახალი წარმატება ვერ მოუტანა რუმინელ მომღერალს, და თუ მომღერლის მუსიკალური და ვოკალური კულტურის გამო რადამესის გამოსასვლელი არია „ძვირფასო აიდა“ მეტ-ყველად და რბილად გაისმა, ოპერის ყველა დიდ გამლილ ანსამბლურ სცენაში ლირიკული ტენორის ყოვრდობა, როგორც კომპოზიტორის პარტიტურული ჩანაფიქრის არაშესატყვისი, აშკარად არასაკმაო და ნაკლებად დამაჯერებელი აღმოჩნდა.

ტიტუს მორარუ საოპერო შემსრულებლობის ვიწრო ფარგლებში არ იკეტება. ხშირად გამოდის სოლო და სიმფონიურ კონცერტებში დიდი და მრავალფეროვანი პროგრამით.

მ. ქავთარაძე.

მთვარის მქრქალი მხარე

კულკოვო, 2 ივნისი. (სპეციალის კორ.). პულკოველმა ასტრონომმა შ. პ. დარჩიამ, რომელიც აღმოსავლეთ პამირში იმყოფება, შეძლო ზღვის დონიდან 3.860 მეტრ სიმაღლიდან ფოტოსურათები გადაეღო მთვარის მქრქალი მხრის დეტალებისათვის. პულკოვოს ობსერვატორიაში განხორციელდა ამ სურათების ფოტომეტრიული დამუშავება.

მქრქალ მთვარეს ფოტოსურათები გადაუღეს 3.860 მეტრ სიმაღლიდან

საკადესის კორესპონდენტმა მიმართა ობსერვატორიის დირექტორს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ა. ა. მიხაილოვს და თხოვა კომენტარი გაეკეთებინა ამ გამოკვლევის მნიშვნელობისათვის.

—ასტრონომებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მთვარის დისკოს გაუნათებელ ზედაპირზე, ესე იგი მთვარის მქრქალ მხარეზე ცალკეულ დეტალებს ახასიათებს ნათება, — თქვა ა. ა. მიხაილოვმა, — მაგრამ ეს მოვლენა არ იყო დასაბუთებული დოკუმენტურ-ინსტრუმენტული დაკვირვებებით.

პულკოველმა ასტრონომმა შ. პ. დარჩიამ, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოსავლეთ პამირში საექსპედიციო ასტროკლიმატური გამოკვლევა განახორციელა. სარკიანი ლინზების ტელესკოპის — „აზტ-7“ და ფოტოაპარატ „ზენიტ-ს“ კამერის საშუალებით დიდი სიმაღლიდან მთვარის მქრქალ მხარეს სურათი გადაუღო სხვადასხვა დაყოვნებებით: სამი წუთის დაყოვნებით, ერთი წუთის დაყოვნებით, და 20 წამის დაყოვნებით.

ობსერვატორიის მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. ს. ორლოვამ ფოტომეტრიული დამუშავებისათვის გამოიყო ერთ-ერთი საუკეთესო სურათი — ის, რომელიც გადაღებულია 20 წამის დაყოვნებით. განხორციელდა აგრეთვე ორი სხვა სურათის სასინჯი გაზომვა.

როცა შემდეგ ასტრონომებმა ერთმანეთს შეადარეს სიკაშკაშის შეფარდებითი განაწილება მქრქალი მთვარის დისკოზე და ბადრი მთვარის დისკოზე, შეამჩნიეს, რომ მთვარის ზედაპირის ზოგიერთ უბნებში, რომლებიც აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეებზე მდებარეობს, მქრქალ მთვარეზე აღინიშნება გაძლიერებული სიკაშკაშე. ეს უბნები მთვარის ზედაპირის საკმაოდ ვრცელი არეებია ცვრის ყურისა და გრიმალდის კრატერის რაიონებში გრიმალდის კრატერის ჩრდილოეთით.

ნ. ს. ორლოვასა და შ. პ. დარჩიას მიაჩნიათ, რომ საფიქრებელია, ასეთი მოვლენის მიზეზია მთის ქანების ლუმინესცენცია, რასაც იწვევს კოსმოსური სხივების, ან მზის კორპუსკულარული გამოსხივების ზემოქმედებით გამოწვეული.

მქრქალი მთვარისადმი ფოტოგრაფიული დაკვირვების შედეგები, რომელიც აღმოსავლეთ პამირში მიიღეს, უდავოდ ფრიად მნიშვნელოვანია.

ახლა მქრქალი მთვარის დეტალების უნიკალური ფოტოსურათი, პირველად ქვეყნდება ნ. ს. ორლოვასა და შ. პ. დარჩიას კომენტარებით პულკოვოს მთავარი ასტრონომიული ობსერვატორიის „იზვესტიის“ ახალ გამოშვებაში.

... ბილიკებით

წყალქვეშა

△ ამფორები ზღვის ფსკერზე. △ ჩაძირული ქალაქები. △ ყვავის ქვის გამოცანა.

.....ადრე თუ გვიან წყალქვეშა სპორტის ენთუზიასტების მისწრაფება იქნება იყონ წევრები არა უბრალოდ სპორტული კლუბისა, არამედ სამეცნიერო საზოგადოებისა. წყალქვეშა სიცოცხლით დაინტერესებულ ადამიანთა თანასაზოგადოებისა, რომლის შემადგენლობაში იქნებიან იხტიოლოგი და ზღვის ბიოლოგი, გეოლოგი და არქეოლოგი — ერთიანი კოლექტივი სპეციალისტებისა, რომლებიც ერთ მთელად აერთებენ თავიანთ ძალლონეს, ცოდნასა და გამოცდილებას“.

ასე წერდა რამდენიმე წლის წინათ განთქმული ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი. თავის წიგნში „წყალქვეშა ნადირობა“ იგი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირში წყალქვეშა სპორტის განვითარება სწორედ ასეთი საზოგადოების დაარსების „ბედნიერ შესაძლებლობას ქმნის“.

ოლდრიჯი მართალი აღმოჩნდა: ჩვენი წყალქვეშელი სპორტსმენები ახლა მარტო წყალქვეშა ნადირობასა და წყალქვეშ ცურვაში შეჯიბრების მონაწილენი როდი არიან. ისინი მონაწილეობენ ზღვის ფსკერის უნიკალური ოლქების შედგენაში, იკვლევენ მოლოგობსა და პირსებს. აკვირდებიან სარეწი თევზის მიგრაციას.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი **იური ბარშევინი** შეხვდა სსრ კავშირის წყალქვეშა სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს **სერგი ბაკაიცას** და სთხოვა ეამბნა, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ აკვალანგისტები ჩვენს ქვეყანაში გამართულ ყველაზე საინტერესო არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

ბილას მყვინთაკი ივანე მასი თავის ამხანაგებთან ერთად ზღვაში მუშაობდა დონუზლავის ახლოს. წინადღით ქარიშხალი მძვინვარებდა და მებადურთა რამდენიმე გემი, რომლებმაც სცადეს ყურეში შეეფარებინათ თავი, ღუზიდან მოგლიჯა. მეხუთე რაზმის მყვინთაველს ახლა უნდა ეპოვნათ ფსკერზე დარჩენილი ეს ღუზები.

წყალქვეშ რომ ჩაეშვა, ივანე მასმა ყურადღება მიაქცია ძაბრს. შავად რომ მოჩანდა ქვების გროვასთან. სიღრმე აქ დიდი არ იყო და ყურის ქვიშიანი ფსკერი მკაფიოდ ჩანდა. მასმა ფრთხილად გადასწია წყალმცენარეთა ბუჩქები და ძაბრის ფსკერზე შეამჩნია სურების მსგავსი რამდენიმე უცნაური საგანი: ისინი ერთმანეთის გვერდით ეწყო ქვაშით ნახევრად დაფარული.

კატარღაში მყვინთაველებმა ყურადღებით დაათვალიერეს ნაპოვნი ჭურჭელი: ძაბრის ფსკერზე ისინი რვა აღმოჩნდა. ესენი იყო ფსკერწაყვეტებული თიხის სურები, რომლებსაც ვიწრო ყელი და ორი სახელური ჰქონდათ. ერთი შეხედვითაც კი ჩანდა, რომ ნიკარგშემოკრული ეს სურები მრავალ წელიწადს დებულან ზღვის ფსკერზე. „დაუყოვნებლივ უნდა ვაცნობოთ ამ აღმოჩენის ამბავი არქეოლოგებს, — თქვა კატარღის მეთაურმა. — გამიგონია, რომ ასეთ სურებს ამფორები ეწოდებათ — ძველ ბერძნებს ამ სურებით ზეთისხილის ზეთი და ღვინო გადაჰქონდათ“.

მყვინთაველის დეპეშას, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ დაინტერესებინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

ოც იანვარს ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ინსტიტუტის არქეოლოგები და წყალქვეშა სპორტის მოსკოვის კლუბის „დელფინის“ აკვალანგისტები, სახმრეთისაკენ გაემგზავრა. ექსპედიციის სთავეში მდგომ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ვლადიმერ ბლავატსკის ესმოდა, რომ ბას მიაღწია.

ექსპედიციამ გადაწყვიტა ტამანის ყურეში დაეთვალიერებინა ძველი ფანაგორიის ნაშთები. ფანაგორია თავის დროზე ბოსპორის სამეფოს მეორე დედაქალაქად ითვლებოდა. ნაპირის ხაზის შეცვლის გამო ფანაგორიის დაახლოებით მესამედი წყალქვეშ აღმოჩნდა. ჩვენმა აკვალანგისტებმა დეტალურად გამოიკვლეს მთელი ყურე, გამოარკვიეს წყალქვეშ მოქცეული ქალაქის ზუსტი საზღვრები, ამოვნეს თავდაცვითი გალვანის ნაშთები, შეაგროვეს ანტიკური კერამიკის მდიდარი კოლექცია. მომდევნო წლებში ყურეში წყალქვეშა გათხრები შეასრულეს, რამაც არქეოლოგებს ბევრი ძვირფასი ცნობა მისცა.

უნდა მოვიხსენიო სპორტსმენების მონაწილეობა იმ წყალქვეშა არქეოლოგიურ სამუშაოებშიც, რაც ამჟამად სოხუმის უბეში წარმოებს. 1953 წლის ზაფხულში აქ ნაპირის ახლოს ნახეს საფლავის მარმარილოს ბარელიეფი, ძველი ნეკროპოლისის V საუკუნეში ბერძენი ოსტატების მიერ შესრულებული. შემდეგ იმავეს რამდენიმე ანტიკური ამფორა, მეომრის სკულპტურული პორტრეტი, ფული ლეკოთ დაფარული ჯურჭლის ნატეხები.

ნაპოვნმა დაინტერესა ქართველი არქეოლოგები, და მათ გადაწყვიტეს დეტალურად გამოეკვლიათ უბის ფსკერი. გამოირკვა, რომ აქ ძველი დოისკურიის ნანგრევებია. თუ ლეგენდას დავუჯერებთ, ეს ულამაზესი ქალაქი, რომელიც ახლა ჩამარხულია გამაგრებული ტალახისა და შლამის სქელი ფენის ქვეშ, დაფარულებიათ მამაც აოგრანავებს — ოქროს საწმისის მაძიებლებს.

სოხუმელმა აკვალანგისტებმა უბის ფსკერზე იპოვნეს იმ გალავნის ნაშთები, რომელიც ოდესღაც ქალაქს ერტყა. ეს ქვის გალავანი დიდხანს საიმედოდ იცავდა დოისკურიას — ქალაქის იერიშით აღება მხოლოდ პომპეუსის რომაელმა ლეგიონერებმა შეძლეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დოისკურიის ძებნაში მონაწილეობა მიიღო ჯეიმს ოლდრიჯმა.

„სოხუმის უბის რაიონში ნაყვინთვიანი ... — წერდა იგი, შეიძლება დაინახოთ მცურავის ქანდაკება, ძველი ბერძნული სახლის სახურავზე რომ დგას. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ თუ მაღალი სახლი, რომლის სახურავიც ტალახს ზემოთ ჩანს, დანგრეული არ არის, მთელი ქალაქიც ასევე კარგად არის შემონახული... დარწმუნებული ვარ — დადგება დღე, როცა საბჭოთა წყალქვეშა ექსპედიცია მოაშორებს ტალახს, რომელიც ფარავს ქალაქს, და იქ არქეოლოგიისა და ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის საუნჯეს აღმოაჩენს“.

შესაძლოა ჯეიმს ოლდრიჯის იმედი მაღე ახდეს. ამ ზაფხულზე სოხუმის უბეში კვლავ იმუშავებს წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიცია.

ასეთი ექსპედიციები ჩვენში ეწყობა არა მარტო შავ და აზოვის ზღვებზე — წყალქვეშა ძიების გეოგრაფია გაცილებით უფრო ფართოა. სამხედრო ისტორიკოსმა გიორგი კარაევმა ექსპედიცია მოაწყო ჩუდის ტბაზე და ზუსტად გამოიკვანა ცნობილი „ყინულზე ომის“ ადგილი. მატიანეში ნათქვამია, რომ ალექსანდრე ნეველის მეზობლავე პოლკი, რომელსაც თავს დაატყდა გერმანელი რაინდების ძირითადი დარტყმა, განლაგებული იყო „ჩუდის ტბაზე, უზმენზე, ყვავის ქვასთან“. მაგრამ ყვავის ქვა ტბაზე ამჟამად ალარ არის და ბრძოლის ზუსტი ადგილი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გიორკეველად ითვლებოდა. გიორგი კარაევმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ბრძოლის დღიდან გასული მრავალი ასეული წლის მანძილზე ტბის ნაპირები ასეთნაირად შეიცვლებოდა და ყვავის ქვა წყალქვეშ მოექცეოდა.

ლენინგრადელმა წყალქვეშელმა სპორტსმენებმა ეს ვარაუდი დაადასტურეს. მათ შეიმუშავეს ძიების განსაკუთრებული მეთოდიკა და ტბის ფსკერზე მიაგნეს დიდ კლდეს, რომლის ახლოსაც თავდაცვითი ზღუდეების ნაშთები შემორჩენილა. ექსპედიციამ დაამტკიცა, რომ სწორედ ეს კლდე ყვავის ქვა: XIII საუკუნეში იგი ჯერ კიდევ ხმელეთზე ყოფილა. ახლა ჩვენ ვიცით, როგორ გამოიყურება ლეგენდარული ქვა: იგი წყალქვეშ დახატა რემ სტუკალოვმა — სსრ კავშირის პირველმა ჩემპიონმა წყალქვეშა სპორტში.

მეორე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მაღალი მთების ტბის ისიკ-კულის ფსკერი გამოიკვლია. ჩრდილოეთ ნაპირთან აკვალანგისტებმა თემურლენგის მიერ აგებული ციხის ნანგრევები აღმოაჩინეს.

შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ უახლოეს წლებში წყალქვეშა არქეოლოგია კიდევ უფრო გაგაფართოებს თავის საზღვრებს. აკვალანგისტები დაეხმარებიან არქეოლოგებს „ცისფერი კონტინენტის“ ბევრი საიდუმლოების გამოცნობაში.



... ქალაქი

... ბ. ქევანიშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის დოცენტმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა შამზე ივანეს-ძე ქევანიშვილმა ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ცარის ვენის ქირურგიული ანატომია“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა შ. ქევანიშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

გამარჯვებული წიგნები და ჟურნალები

რუსული წიგნის 400 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში მოეწყო მეოთხე საკავშირო კონკურსი 1963 წლის პოლიგრაფიული პროდუქციის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების და პოლიგრაფიული შესრულების მხრივ საუკეთესო წიგნებისა და ჟურნალების გამოსავლინებლად.

კონკურსზე საუკეთესო პოლიგრაფიული პროდუქცია წარადგინეს უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, საქართველოს, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის და მოლდაველის რესპუბლიკებმა. ჟიურიმ აღნიშნა, რომ **საქართველო პირველად მონაწილეობდა კონკურსში და სასიხარულო წარმატებაც მოიპოვა.**

საუკეთესო მხატვრული გაფორმების და პოლიგრაფიული შესრულებისათვის ჟიურიმ კონკურსის **მეორე ხარისხის დიპლომი** მიაკუთვნა გამომცემლობა „ცოდნას“ მიერ გამოცემულ ირ. აბაშიძის წიგნს „რას გადაურჩა თბილისი“ (მხატვარი ზ. კანანაძე, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი).

საუკეთესო საბავშვო ჟურნალად, რომლებიც რეალისტურ საფეძველზე იქმნებიან და იყენებენ როგორც ეროვნულ მოტივებს, ისე ბავშვთა შემოქმედებას, ჟიურიმ ცნო ბელორუსული „ვიასიოლკა“ („ცისარტყელა“) და ქართული უურნალი „დილა“ (საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი). ჟურნალ „დილას“ წამახალისებელი დიპლომი მიენიჭა.



საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
სპორტის სასახლე
6-დან 21 ივნისამდე
ავსტრიის ბალეტი ყინულზე
„აის-რევიუ“
ოცნება ბედნიერებაზე
„აის რევიუს“ დაარსების 25 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სპექტაკლი ორ განყოფილებად
საერთო ჩანაფიქრი და რეჟისურა — ვილ პეტერი, მუსიკა — რობერტ შტოლცი, ქორეოგრაფი — ედიტ პეტერი, რეჟისორი — ოტო ჩაპი, დირიჟორები — კარლ ჰორსტ ვიხმანი, ლასლო პოგანი, კოსტიუმებს მხატვარი — პერდაგო, დეკორაციები-არქიტექტორი — ფილიქს სმეტანა.
სოლისტები
მილენა, ჯოან ხაანაპელი, კარინ ფრონერი, ნორბერტ ფროწერი, ნორბერტ ოიდზინგერი, პაულ სიბლი, ლილი ლევინი, მანფრედ ვოლშლეგერი, კატრინ დ ფრედ ემანუელები, ტროი ანდერსენი, იოზეფ რუკა, რონ შტაუფერი, ირეცკრგა, ილზა პელიკანი, მართა ვურსტი, დუნკან კელი, ალბერტ ლორცინგი, ორი ჰავარდი, ბერტლ ჩაპეკი.
ბალეტის ანსამბლი და ორკესტრი 65 კაცის შემადგენლობით. სპექტაკლების დასაწყისი დღის 12 საათზე, საღამოს 8 საათზე.
ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის და ფილარმონიის სალაროებში.
მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზე.
ტელეფონები: 7-20-02, 7-01-55, 7-20-54, 5-03-53.



სურათზე: სცენა ყინულზე ვენის ბალეტის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპექტაკლიდან „ოცნება ბედნიერებაზე“.

... ხელოვნება

ზ. ფალიაშვილის სახელ ობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — I. ჯამბაზები, II. სოფლის პატიოსნება, **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ქუთათურები (მე-13 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები ზეზეურად კვდებიან (მე-14 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მაშენკა (მე-10 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მე და ჩემი მეზობლები, **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო ანსამბლი „აზერბაიჯანული მელოდიები“.

თეატრი
4 ივნისი

კინო
4 ივნისი

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრი — **4 ივნისი**

ზ. ფალიაშვილის სახელ ობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — I. ჯამბაზები, II. სოფლის პატიოსნება, **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ქუთათურები (მე-13 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები ზეზეურად კვდებიან (მე-14 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მაშენკა (მე-10 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მე და ჩემი მეზობლები, **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო ანსამბლი „აზერბაიჯანული მელოდიები“.

კინო — **4 ივნისი**

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ამირანი (საზაფხულო), ისანი (საზამთრო), საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო და საზაფხულო), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), **გაზაფხული — პარიზის საიდუმლოებანი,** ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), კომკავშირელი, საქართველო (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ჯავშავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **ქალიშვილი ბანკიდან,** ვაკის პარკი — **სამშობლოს დაშორებით** 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **პაპა — ყოვლისმცოდნის ომის ოქროს სამი ბეწვი,** საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლმეურნე, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა სახლი — **რომეო, ჩემო მეზობელო,** ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ტრაგიკული ნადირობა,** გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **ელექტრა,** ოფიცერთა სახლი, კომუნარების ბაღი, ნაკადული — **რთული თამაში,** კოსმოსი — **ჩამოიყვანეთ ცოცხლები,** თანამგზავრი — **სიყვარული სიმღერაში** (I-II სერია), კიროვის სახელობის პარკი — **როკო და მისი ძმები** (I-II სერია), ისანი (საზაფხულო) — **ოდისევსის მოგზაურობა,** პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა,** მზიური — **ჩრდილი გზაზე.**

ტელევიზია — **5 ივნისი**

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ბარონი მიუნჰაუზენი“, 19.25 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში“, 19.40 — საუბარი — „ეკონომიური ურთიერთობის საბჭოს 15 წლისთავი“, 19.55 — კინონარკვევი „შორეული წარსულის მოწმენი“, 20.05 — გადაცემა — „მექანიზაცია სიუხვის წყაროა“, 20.25 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.40 — გერმანული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მკვდრები არ ლაპარაკობენ“ — მეორე სერია (პრემიერა) ფილმი დუბლირებულია საქართველოს ტელევიზიის კინოგადაცემთა რედაქციის მიერ, 22.15 — ახალი ამბები.

კომუნისტი КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსიზმ-ლენინური თეორიის, პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ЧВЕНИ ВИСАМАРТИ ДА ТЕЛЕФОНЕБИ

ВФ 07897

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

5

კომუნისტი

ოლიმპიადა

სინანულს სიხარული მოჰყვა

როგორც ვიუწყებოდით უნგრელი ხელბურთელები თბილისს ეწვევნენ. გუშინ მათ სპორტის სასახლეში პაექრობა ჰქონდათ საბჭოთა ხელბურთელებთან.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ქალთა გუნდები.

სტუმართა მხრიდან თამაშობდა უნგრეთის ნაკრები, საბჭოთა კავშირიდან — ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონი მოსკოვის „ტრუდი“.

მოსკოველებმა მოიგეს ტაიმი ანგარიშით 8 : 7. მეორე ნახევარში სტუმრები უფრო მეტი აქტივობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 11 : 9.

უაღრესად დაძაბული აღმოჩნდა უნგრეთისა და საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა კოლექტივების პაექრობა. აი საქართველოს ნაკრების შემადგენლობა სტარტზე — აბაიშვილი, ანთაძე, ცერცვაძე, ბაგრატიონი, ფხაკაძე, ელესულიძე, კარტოზია.

ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელებმა ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ — 15 : 11 დაამთავრეს.

მეორე ნახევარში უნგრელებმა შეძლეს ბურთების სხვაობის შემცირება, მაგრამ



ლიდერი ქულებს აბრუვებს

გუშინ ამსტერდამში გაიმართა საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-12 ტური.

ლარსენმა სატურნირო ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა. მან დაამარცხა ვრანეშიჩი. ბრონშტეინმა მოუგო ბილეკს, სპასკიმ — პერესს, ტალმ